

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება



სამართლიანი არჩევნები

წინასწარი განცხადება

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისა და პლეზისციტის შესახებ

თბილისი, 6 იანვარი, 2008 წელი – სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) საქართველოს 75 საარჩევნო ოლქის თითქმის ყველა საარჩევნო უბანში აკვირდებოდა არჩევნების დღის ყველა პროცედურას - კენჭისყრის, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურებს - დაახლოებით 3400 მიუკერძოებელი და არაპარტიული დამკვირვებლის მეშვეობით. “სამართლიანი არჩევნების” გამოცდილმა დამკვირვებლებმა ასევე განახორციელეს 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების პარალელური დათვლა (PVT/PTT), რაც არის ორგანიზაციის მიერ რიგით მე-5 წარმატებულად ჩატარებული და დათვლილი არჩევნების პარალელური შედეგები.

“სამართლიანი არჩევნები” მადლობას უხდის მისი სადამკვირვებლო მისიის თითოეულ წევრს თავდადებისა და გაწეული საქმიანობისთვის, რამაც ორგანიზაციას მისცა საშუალება, გააყოთოს წინასწარი განცხადება არჩევნების დღისა და პარალელური შედეგების შესახებ.

პარალელური დათვლის შედეგები

შედეგები დათვლილია გამოყენებული ბიულეტენების საფუძველზე. “სამართლიანი არჩევნების” მიერ მთელი საქართველოს მასშტაბით 95%-იანი ალბათობით რეპრეზენტატულად შერჩეული 394 უბნის საფუძველზე განხორციელებული ხმების პარალელური დათვლის შედეგები შემდეგია:

- №1 ლევან გაჩეჩილაძე (გაერთიანებული ოპოზიცია) - 27.2 %
- №2 არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი (საინიციატივო ჯგუფი) – 7.3 %
- №3 დავით გამყრელიძე (“ახალი მემარჯვენეები”) – 4.3 %
- №4 შალვა ნათელაშვილი (ლეიბორისტული პარტია) – 7.0 %
- №5 მიხეილ სააკაშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) – 50.8 %
- №6 გია მასაშვილი (საინიციატივო ჯგუფი) – 1.0 %
- №7 ირინა სარიშვილი (პარტია “იმედი” საინიციატივო ჯგუფი) – 0.2 %

გაუქმებული ბიულეტენების საერთო რაოდენობა - 2.3 %

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკური ცდომილების მაჩვენებელია +/- 2.2%.

შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ სკრუპულოზურად დააჯამოს არჩევნების საბოლოო შედეგები და სათანადო რეაგირება მოახდინოს ყველა საჩივარზე.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიანი არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და ფონდი დია საზოგადოება საქართველოს ოფიციალურ პოზიციას.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

“სამართლიანი არჩევნები” ასევე მოუწოდებს ყველა მხარეს, მაქსიმალური პასუხისმგებლობით მოეცილოს საარჩევნო პროცესის საბოლოო – შედეგების შეჯამების – ეტაპს.

აქტივობის პარალელური დათვალი

“სამართლიანმა არჩევნებმა” კენჭისყრის დღის განმავლობაში ასევე პარალელურად დათვალია არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებლები, რომლის შედეგებიც შემდეგია:

12:00 საათი – 15.7 %

17:00 საათი – 46.1 %

20:00 საათის შემდეგ – 55,7% (საბოლოო მაჩვენებელი)

არჩევნების დღეს გამოვლენილი ფაქტები

“სამართლიანი არჩევნები” აცხადებს, რომ 2008 წლის 5 იანვრის არჩევნები შედგა, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს ამომრჩეველთა მზაობას – ქვეყნის მართვაში არჩევნების გზით მიეღოთ მონაწილეობა და აქტიურად გამოეხატათ საკუთარი ნება. არჩევნების სამართლიანობის დაცვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დამკვირვებლებმაც, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელზე რეაგირებაც აუცილებელია არა მხოლოდ 5 იანვრის არჩევნების მაღალი ლეგიტიმურობის უზრუნველყოფისთვის, არამედ იმის ხელშეწყობისთვისაც, რომ მომავალში მსგავსი დარღვევები მაქსიმალურად შეიზღუდოს. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს: საარჩევნო ურნებში ბიულეტენების ჩაყრის ან ჩაყრის მცდელობის ფაქტები (ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა 10 საარჩევნო უბანში), დამკვირვებლებზე ზეწოლის ფაქტები (დაფიქსირდა 10 საარჩევნო უბანში), მრავალჯერადი და ასევე პირადობის მოწმობების გარეშე ხმის მიცემის ფაქტები, საარჩევნო ყუთის გატაცების შემთხვევა და კომისიის წევრების ან სამართალდამცავი პირების მხრიდან ზეწოლის ფაქტები.

გარდა ამ პრობლემებისა, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოიკვეთა სხვადასხვა სახის ტექნიკური პრობლემებიც: რიგ საარჩევნო უბნებში კომისიის წევრები არასათანადოდ იყვნენ მომზადებულები, რამდენიმე საარჩევნო უბანში გაფუჭდა მარკირების დეტექტორები, უბნების ნაწილში მარკირების პროცედურა არასწორად ხორციელდებოდა, ზოგიერთ საარჩევნო უბანს დამატებითი სიების ამომრჩეველთათვის განკუთვნილი განსხვავებული ზომისა და შეფერილობის კონვერტები არასაკმარისი რაოდენობით მიეწოდა, გარკვეულ უბნებზე შემაჯამებელი ოქმების შევსებისას ე. წ. ბალანსების დაუცველობის შიშით გამოვლინდა ბეჭდითა და წევრთა ხელმოწერებით დამოწმებული ოქმების ფანქრით შევსების ფაქტები.

არჩევნების დღეს ცხადად დადასტურდა ამომრჩეველთა სიების პრობლემაც. ამომრჩეველთა სიებში კვლავ ფიქსირდებოდა ამომრჩეველთა არასწორი პირადი მონაცემები, გაორებები და მკვდარი სულები. დაფიქსირდა რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც სიაში შეყვანილი იყვნენ არასაარჩევნო ასაკის მქონე ამომრჩევლები.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

“სამართლიანი არჩევნები” აგრძელებს დაკვირვებას და მოუწოდებს საარჩევნო ადმინისტრაციას, კანდიდატებს და საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილეს, ხელი შეუწყონ საარჩევნო პროცესის შემდგომი ეტაპის სამართლიან და თავისუფალ წარმართვას, ვინაიდან არჩევნების შედეგების საბოლოო დაჯამება, საჩივრების განხილვა და გამოვლენილ დარღვევებზე შესაბამისი რეაგირება საარჩევნო პროცესის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია. 2008 წლის 5 იანვრის არჩევნების სრულყოფილი შეფასება შესაძლებელი იქნება მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღისა და შემდგომი პროცედურების კომპლექსური ანალიზის შედეგად.

6 იანვარი, 2008 წელი.

აღნიშნული პროექტი ხორციელდება ევროკავშირის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით. ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყო საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა.



ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ოფიციალურ პოზიციას.